დამტკიცებულია „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტის“
რექტორის მიერ

დავით ტვილდიანის

სამედიცინო უნივერსიტეტი

აკადემიური პერსონალის აფილირების

წესი და პირობები

თბილისი, 2025

აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები

ეს წესი არეგულირებს შპს „დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში“ აკადემიური თანამდებობის მქონე პირთა აფილირების წესსა და პირობებს.

აფილირების ცნება

აფილირება გულისხმობს, უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის განსაკუთრებული ურთიერთობის შესახებ წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ დტსუ-სთან, მისი სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და დტსუ-ში:

- ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგები ეთვლება მხოლოდ დტსუ-ს;
- აქტიურად არის ჩართული დტსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
- აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.

ამასთან აფილირებული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი დტსუ-ს მიერ არ არის შეზღუდული მონაწილეობა მიიღოს (აფილირების გარეშე) სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა თუ სხვა ინსტიტუციის მიერ დაფინანსებულ საგანმანათლებლო/სამეცნიერო/კვლევით პროექტში, მისი პედაგოგიური დატვირთვის მოცულობის დტსუ-ში შესრულებისა და დსტუ-ს ფარგლებს გარეთ სხვა პროექტებში ჩართულობის შესახებ დტსუ-ს ინფორმირებულობის გათვალისწინებით.

აფილირების წესი და პირობები

დტსუ-ში აკადემიური თანამდებობის მქონე პირის აფილირება ხდება, როგორც აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის სურვილის დაფიქსირებისას, ასევე წესის მიღებისას აკადემიური თანამდებობის მქონე პირების მიერ შესაბამისი აფილირების შეთანხმების ხელმოწერით დადასტურებით;

უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მიღებისას კონკურსანტის მიერ დტსუ-სთან აფილირებაზე წინასწარ გაცხადებული თანხმობა, საკონკურსო კომისიის მიერ, თანაბარი მონაცემების მქონე კანდიდატთა შერჩევისას, შესაძლოა მიჩნეული იქნას კონკურსანტებს შორის უპირატესობის მინიჭების საფუძველად, რის თაობაზეც კონკურსანტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებული (საკონკურსო პირობები).

ამავდროულად წინასწარი თანხმობა აფილირების შესახებ არ ნიშნავს აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის გარანტიას, ისევე, როგორც იგი არ უნდა იქნას აღქმული, რაიმე სახის დისკრიმინაციად.

კონკურსანტის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში მასთან ფორმდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, აფილირებული აკადამიური თანამდებობის მქონე პირის უფლებებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში თუ აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი მოახდენს აფილირებას სხვა უსდ-სთან, ის შესაძლოა დარჩეს აკადემიურ თანამდებობაზე, თუმცა შეცვლილი შრომითი პირობებითა და ხელშეკრულებით.

გარდამავალ პერიოდში აფილირების წესი და პირობები

დტსუ - ში წესის ამოქმედებამდე აკადემიურ თანამდებობის მქონე პირები ვალდებულნი არიან დააფიქსირონ საკუთარი პოზიცია აფილირების შესახებ, დტსუ-ს უფლებამოსილი პირის მოთხოვნისთანავე.

წესის ამოქმედებამდე დტსუ-ს აკადემიური თანამდეობის მქონე პირის მიერ აფილირების შეთანხმების ხელმოწერა იმავდროულად ადასტურებს მის ინფორმირებულობას და წინასწარ თანხმობას მონაწილეობა მიიღონ „პედაგოგიური შემადგენლობის სამუშაო დატვირთვის შესახებ“ დებულების შემუშავებაში, ხოლო დამტკიცებისა და ძალაში შესვლის შემდეგ ამ დებულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებაზე.

აკადემური თანამდებობის მქონე პირის მიერ აფილირების შეთანხმებაზე უარის შემთხვევაში, იგი აკდემიური თანამდებობის არჩევითობის სამართლებრივი ხასიათისა და შინაარსიდან გამომდინარე, რჩება დაკავებულ თანამდებობაზე არჩევის ვადითა და პირადი განცხადებით მისი შეწყვეტის მოთხოვნამდე, თუმცა მისი შრომითი უფლებები და ველდებულებები გათანაბრებულია მოწვეული პედაგოგის შრომით ურთიერთობებთან.

დანართი 1

აფილირების შესახებ აკადემიური თანამდებობის მქონე პირთან

შეთანხმება

მე _____ პ/ნ _____ ვაცხადებ თანხმობას, ვიყო აფილირებული დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტთან, ე.ი ვიმოქმედო უნივერსიტეტის გაცხადებული მისიის, მიზნისა და ღირებულებების შესაბამისად და აკადემიური თავისუფლების ფარგლებში; ვიზრუნო უნივერსიტეტის რეპუტაციაზე და ვუზრუნველყო დტსუ-ში მიღებული აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის ნორმების დაცვა ჩემს მიერ განხორციელებული აკადემიურ და პროფესიულ საქმიანობაში;

ვაცნობიერებ ვალდებულებას, რომ როგორც დტსუ-ს აკადემიური საზოგადოების წევრი, ჩემს მიერ განხორციელებული აკადემიური-სამეცნიერო, პროფესიული და სხვა აქტივობების შესახებ წარმოვადგინო პერიოდული ანგარიშები უნივერსიტეტში არსებული პედაგოგიური დატვირთვის დოკუმენტის შესაბამისად და დაცვით;

ამასთან წინამდებარე შეთანხმებით, დტსუ-ში შრომითი ხელშეკრულებისა და აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადით, უარს ვაცხადებ სხვა უსდ-სთან აფილირებაზე.

„დავით ტვილდიანის სამედიცინო უნივერსიტეტში“ აკადემიური თანამდებობაზე არჩევისა და შრომითი ხელშეკრულების ვადაში სხვა უსდ-სთან აფილირების სურვილის შემთხვევაში, ვიღებ ვალდებულებას წინასწარ (მაგ: აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით საბუთების წარდგენამდე), შევატყობინო უსდ-ს აღნიშნულის, აკადემიური თანამდებობის დატოვებისა და შრომითი ხელშეკრულების შეცვლის ან შეწყვეტის თაობაზე.

_____ /ხელმოწერა/

დანართი 2

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პირის წინასწარი თანხმობა აფილირების შესახებ

მე _____ პ/ნ _____ ვაცხადებ სრულ თანხმობას, უნივერსიტეტის გაცხადებული მისიის, მიზნისა და ღირებულებების შესაბამისად და აკადემიური თავისუფლების ფარგლებში მონიჭებული ვალდებულებებით ვიმოქმედო; ვიზრუნო უნივერსიტეტის რეპუტაციაზე და ვუზრუნვველყო დტსუ-ში მიღებული აკადემიური კეთილსინდისიერებისა და კვლევის ეთიკის ნორმების დაცვა ჩემს მიერ განხორციელებული აკადემიურ და პროფესიულ საქმიანობაში;

ვაცნობიერებ ვალდებულებას, რომ როგორც დტსუ-ს აკადემიური საზოგადოების წევრი, ჩემს მიერ განხორციელებული აკადემიური-სამეცნიერო, პროფესიული და სხვა აქტივობების შესახებ წარმოვადგინო პერიოდული ანგარიშები უნივერსიტეტში არსებული პედაგოგიური დატვირთვის დოკუმენტის შესაბამისად და დაცვით;

ასევე თანხმობის წერილის ხელმოწერით ვაცნობიერებ, რომ აფილირებაზე წინასწარი თანხმობა არ წარმოადგენს აკადემიური თანამდებობის დაკავების ერთადერთ საფუძველს და ჩემი კანდიდატურა ასევე შეფასებული იქნება სხვა საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და დამადასტურებელი დოკუმენტების გათვალისწინებით.

_____ /ხელმოწერა/

დანართი 3

დტსუ-თან აფილირების წესის დამატებითი განმარტება

წინამდებარე განმარტება ეხება დტსუ-თან თანამშრომლობით დაკავშირებულ ე.წ. „პირდაპირი წესით“ (იხ. დტსუ-ის არჩეული პერსონალის აფილირების წესი) კავშირში არმყოფ პირებს, მაგალითად მოწვეულ პედაგოგებს/თანამშრომლებს, აგრეთვე დტსუ-თან აფილირების წესით დაკავშირებულ სასწავლო-სამეცნიერო ბაზებზე მომუშავე პირებს, რომელთაც სამეცნიერო ნაშრომი შეასრულეს აღნიშნულ ბაზაზე; ნაბეჭდი შრომის გამოქვეყნების, კონფერენციაზე (სხვა ანალოგიურ ფორუმზე) მოხსენების და/ან საზოგადოებასთან სხვა სახის კომუნიკაციაზე კვლევის შედეგების წარდგენისას შეუძლიათ ბაზის დასახელებასთან ერთად უნივერსიტეტთან აფილირების გამოყენება (ასეთის სურვილის* შემთხვევაში).

- ✓ ასეთ აფილირებაზე მათ ევალებათ უნივერსიტეტში წარადგინონ ბაზაზე დტსუ-ს თანამშრომლის (ჩვეულებრივ დტსუ არჩეული შტატი) წარდგინების შევსებული ფორმა (იხ. დანართი)
- ✓ შევსებული და ხელმოწერილი ფორმა წარედგინება სამეცნიერო განყოფილებას.
- ✓ ასეთი წესით წარდგენილი ფორმის შემთხვევაში უნივერსიტეტს აქვს მისი დაფინანსებაზე/თანადაფინანსებაზე განხილვის შესაძლებლობა.
- ✓ ასეთი წესით წარდგენილი ფორმის შემთხვევაში უნივერსიტეტს აქვს მისი ნაშრომის დტსუ სამეცნიერო პროდუქტიულობაში ჩათვლის უფლება.
- ✓ ასეთი ურთიერთობითი („კავშირის უწყვეტობა“) ქმნის წინაპირობებს აღნიშნული პირი განხილულ იქნას როგორც უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობაში ჩართული პირი (აფილირების ზემოთ აღნიშნული წესით), მისი კანდიდატურა კი განხილულ იქნას როგორც კანდიდატი უნივერსიტეტის მეცნიერ-თანშრომლის პოზიციის დასაკავებლად.

*იგულისხმება სწორედ სურვილი და არა ვალდებულება.

წარდგინების ფორმა: რეკომენდაცია ნაშრომის გამოქვეყნებაზე

- ✓ ბაზის დასახელება
- ✓ აპლიკანტის სახელი და გვარი
- ✓ ნაშრომის დასახელება
- ✓ სად იგეგმება ნაშრომის გამოქვეყნება
- ✓ ვადასტურებ, რომ ნაშრომი შესრულდა ---------ბაზაზე
- ✓ ვადასტურებ ნაშრომის შეგროვებული პირველადი მასალის (მონაცემების) სანდოობას

დასკვნა: ვშუამდგომლობ დტსუ-თან აფილირებით მის გამოქვეყნებას.

წარმდგენის სახელი, გვარი: